მძიმე რევანში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 14 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) 2:1 (1:1).

“ზენიტი”: ვოსტოილოვი, მეშჩერიაკოვი, სპირიდონოვი, დანილოვი, ალამი დერგაჩოვი, ვასილიევი, მელიკოვი, ხრაპოვიცკი, რიაზანოვი (ზავიდონოვი), ბურჩალკინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, პეტრიაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა (მელაშვილი), დათუნაშვილი.

მსაჯი ი. პავლოვი (კუიბიშევი).

გათამაშების იმ ეტაპზე, რომელსაც ახლა მიაღწია საკავშირო ჩემპიონატმა, ყოველ ქულას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს, თბილისის “დინამოსათვის”, ვინაიდან საპრიზო ადგილების ბედი სწორედ ამ თითო ქულით წყდება. მაგრამ ამ საყოველთაოდ ცნობილი მდგომარეობის გარდა თითოეეულ მატჩს, თითოეულ მოწინააღმდეგეს აქვს თავისი სპეციფიკა, თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც განსაზღვრავს ინტერესს მატჩისადმი.

განვლილი მატჩის სპეციფიკა ყველასათვის ნათელი იყო: როგორ შეძლო “ზენიტმა” მოეგო თბილისის “დინამოსათვის” იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი დაუმარცხებლად იბრძოდა 3 თვის განმავლობაში (18 მატჩი) და გარდა ამისა, ჩემპიონის ტიტულის მოპოვების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტს წარმოადგენდა. ეს კიდევ არაფერი. უჩვეულო ამ გამარჯვებაში იყო ანგარიში 5:0. აქედან 3 გოლის ავტორი გახლდათ ბურჩალკინი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ “ზენიტმა” გუშინ ვერაფერი აჩვენა თბილისის მაყურებელს საიმისო, რომ მისი გამარჯვება ანგარიშით 5:0 რითიმე მაინც იქნას მიჩნეული კანონზომიერად და არც ბურჩალკინი წააგავდა ფორვარდს, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია. იგი აბსოლუტურად იქნა ჩაკეტილი ბ. სიჭინავას მიერ და არც თვითონ, არც მისი პარტნიორები ხიფათს არ ქმნიდნენ მასპინძელთათვის. კოტრიკაძეს “კოშმარების” გადატანა გუშინდელ თამაშში არ დასჭირვებია.

და მაინც რევანში მოპოვებულ იქნა მეტად ძნელ, მძიმე ბრძოლაში. “ზენიტი” ძალზე წააგავს, ვთქვათ, დონეცკის “შახტიორის” კატეგორიის გუნდებს. მისი დევიზია არა ტექნიკა, არა კომბინაციური, ტაქტიკურად მახვილგონივრული, ესთეტიკური თამაში, არამედ ძალა. ლენინგრადელთა კოლექტივში პირველ პლანზე დგას სწორედ ძალა, გამძლეობა, მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვის ატანა 90 წუთის მანძილზე. ძალის პრინციპი დომინირებს თავდასხმაშიც, სადაც ყველაფერი აგებულია ტარანის ტიპის გარღვევებზე და დაცვაშიც, სადაც მეტოქესთან ბრძოლა, ბურთის წართმევის ელემენტები ძირითადად დაფუძნებულია მრავალრიცხოვან, დაუსრულებელ შეტევებზე, რომელთა ყველაზე ტიპიური შედეგია ძირს მწოლიარე მოწინააღმდეგე ფორვარდი და ფეხზე დარჩენილი მცველი.

ამიტომ იყო ძნელი ბრძოლა ლენინგრადელებთან. დინამოელთა მაღალი ტექნიკა, თამაშის წარმოების თანამედროვე ფორმები გარდუვალ ზღუდესავით აწყდებოდა “ზენიტის” გასამკეცებულ დაცვას, ძალისმიერ თამაშს, მსაჯის განუწყვეტელ სასტვენს. თითოეული მეტრის გასავლელად თბილისელებს უხდებოდათ ლენინგრადელთა კოლოსალური ენერგიისა და ძალის დაძლევა. “ზენიტი” იბრძოდა ისე, როგორც იბრძვიან პირველი ადგილისათვის, ან “ა” კლასში დასარჩენად.

მაგრამ ამ სიმძიმეებიდან ნაწილი თვით დინამოელებმა შეიქმნეს. მათი მარჯვენა ფრთა იერიშის პროცესში აშკარად შეზღუდული იყო, ვინაიდან აქ მხოლოდ ეპიზოდურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ შედიოდნენ ბარქაია, გ. სიჭინავა და ბ. სიჭინავა, ხოლო დათუნაშვილმა მარცხენა ფლანგზე ითამაშა გაცილებით უფრო სუსტად, ვიდრე წინა მატჩში და ამის შედეგად შეტევის ფრონტი შეიზღუდა, შევიწროვდა, მოექცა მხოლოდ ცენტრის ფარგლებში. ეს კი ნამდვილი საჩუქარია “ზენიტის” 7-კაციანი დაცვისათვის. ამ ფონზე აღნიშვნის ღირსია ზეინკლიშვილისა და გ. სიჭინავას თამაში, ეფექტური მონაწილეობა საიერიშო ოპერაციებში.

განსაკუთრებით გაძნელდა თამაში მას შემდეგ, რაც ანგარიში ზენიტელებმა გახსნეს. მათ მე-9 წუთზე გაითამაშეს სრულიად უბრალო, მაგრამ სწრაფი და ტემპიანი კომბინაცია ხრაპოვიცკი-რიაზანოვი. “დინამოს” დაცვის ყურადღება კონცენტრირებული იყო ხრაპოვიცკისაკენ, რიაზანოვი კი თავისუფლად დარჩა კარის წინ და მანაც არ დააყოვნა გოლის გატანა _ 1:0. ეს გოლი, თუმცა სულ მალე იქნა გაქვითული, მაგრამ ლენინგრადელებს მან დიდი დამაჯერებლობა და ოპტიმიზმი შესძინა.

საპასუხო ბურთი საინტერესო სიტუაციაში იქნა გატანილი. იამანიძემ მაღალი ბურთი დაკიდა. საჯარიმო მოედანზე, კალოევმა თავით გადასცა იგი მარჯვნივ და ბ. სიჭინავამ ახლო მანძილიდან ზუსტად გაათანაბრა ანგარიში _ 1:1. მცველის ეს მანევრი ყოველმხრივ გამართლებული გამოდგა.

მეორე გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თბილისელებს, აგრეთვე გატანილ იქნა კარგად გათამაშებული საჯარიმო დარტყმის შედეგად მეორე ტაიმში. მანამდე ჩვენს გუნდს რამდენიმეჯერ მიეცა საჯარიმო დარტყმის უფლება და არც ერთი არ იქნა რეალიზებული ხეირიანად. 61-ე წუთზე კი ბარქაიამ მოფიქრებულად, ზუსტად წამოიწყო კომბინაცია სტატიკური მდგომარეობიდან. ბურთი მიიღო კვლავ კალოევმა, მიაწოდა ცენტრში და გ. სიჭინავამ ტექნიკურად რთული ელემენტი ვარდნაში უნაკლოდ შეასრულა _ 2:1.

თამაშის ბოლო წუთებზე “ზენიტის” კარი გადაურჩა უაღრესად სახიფათო მომენტების მთელ სერიას, ბურთი ორჯერ ძელს მოხვდა, მაგრამ ანგარიში 2:1 აღარ შეცვლილა. მართალია, გუშინდელი რევანში არ შეესაბამებოდა პირველი წრის ანგარიშს ლენინგრადში, მაგრამ მან მეტად საჭირო გამარჯვება და 2 ქულა მოუტანა თბილისის “დინამოს” რომელიც მტკიცედ მიიწევს საპრიზო მედლებისაკენ.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 15 ნოემბერი, 1962 წ.